ტესტირებაზე ქცევის წესები

- ✓ საგამოცდო ცენტრებში ტესტირება დაიწყება **2024 წლის 10 მარტს 12:00 საათზე.**
- ✓ საგამოცდო ცენტრში დირექტორობის კანდიდატი რეგისტრაციისათვის უნდა გამოცხადდეს ტესტირებამდე **ერთი საათით ადრე.**
- ✓ ტესტირებაზე გამოცხადება დირექტორობის კანდიდატმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით რეგისტრაციის დროს.
- ✓ ტესტირებაზე დაგვიანებით გამოცხადებული დირექტორობის კანდიდატი **არ დაიშვება** ტესტირებაზე.
- ✓ ტესტირებაზე გამოუცხადებლობა ან დაგვიანება დირექტორობის კანდიდატს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება, მიუხედავად იმისა, ტესტირებაზე გამოუცხადებლობა ან დაგვიანება გამოწვეული იყო თუ არა საპატიო მიზეზით.
- ✓ დირექტორობის კანდიდატმა **თან უნდა იქონიოს** პირადობის მოწმობა ან პასპორტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დირექტორობის კანდიდატი ტესტირებაზე **არ დაიშვება.**
- ✓ დირექტორობის კანდიდატმა **თან უნდა იქონიოს** საგამოცდო ბარათი, წყალი პლასტმასის ბოთლით და საწერი კალამი (შავ ფურცელზე მუშაობის მიზნით).
- ✓ დირექტორობის კანდიდატს **უფლება აქვს თან იქონიოს** პირადი ჰიგიენის საგნები.
- ✓ დირექტორობის კანდიდატს, რომელსაც აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და საჭიროებს საათობრივად კვებას ან მედიკამენტების მიღებას, თან უნდა იქონიოს საკვები და შესაბამისი მედიკამენტები, რაც რეგისტრაციის დროს უნდა გადასცეს უფლებამოსილ პირს.
- ✓ ტესტირების ხანგრძლივობა შეადგენს **5 საათს.**
- ✓ ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპზე შესაბამისი ცნობით დადასტურებული მხედველობის პრობლემების მქონე დირექტორობის კანდიდატებს, ასევე - იმ პირებს, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებენ საათობრივად კვებას, შესაბამისი მედიკამენტის მიღებასა ან ერთ წლამდე ბავშვის გამოკვებას, ტესტზე სამუშაოდ მიეცემათ დამატებით **30 წუთი.**
- ✓ რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრატორი დირექტორობის კანდიდატს განუსაზღვრავს მისთვის განკუთვნილ საგამოცდო ადგილს, რის შემდეგაც იგი იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს.
- ✓ ტესტირების მიმდინარეობისას დირექტორობის კანდიდატებს **უფლება აქვთ სამუშაო მაგიდაზე თან იქონიონ მხოლოდ:**
    - ➢ საგამოცდო ბარათი;
    - ➢ საწერი კალამი;
    - ➢ კოორდინატორის/დამკვირვებლის მიერ გადაცემული ფურცელი;
    - ➢ წყალი (პლასტმასის ბოთლით);
    - ➢ პირადი ჰიგიენის საგნები;
    - ➢ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.
- ✓ **დირექტორობის კანდიდატებს ეკრძალება:**

- ➢ მობილური ტელეფონის ქონა (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
- ➢ სხვა ელექტრონული მოწყობილობის ქონა (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
- ➢ დამხმარე მასალის - სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების (გარდა კოორდინატორის/დამკვირვებლის მიერ გადაცემულისა) ქონა;
- ➢ გადალაპარაკება;
- ➢ დახმარების გაწევა ან მიღება;
- ➢ სხვა პირისათვის რაიმე სახით ხელის შეშლა;
- ➢ სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება.

- ✓ აკრძალული ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში, დირექტორობის კანდიდატს მიეცემა წერილობითი გაფრთხილება და ჩამოერთმევა აღნიშნული ნივთი;
- ✓ დირექტორობის კანდიდატი გაფრთხილების გარეშე **მოიხსნება ტესტირებიდან:**
  - ➢ წესის დარღვევის განმეორების შემთხვევაში;
  - ➢ წესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევაში;
  - ➢ ტესტირების პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის შემთხვევაში.
- ✓ დირექტორობის კანდიდატი **უნდა დაემორჩილოს** დამკვირვებლის/კოორდინატორის გადაწყვეტილებას, მათ შორის, ტესტიდან მოხსნის შესახებ;
- ✓ ტესტირებიდან მოხსნის შემთხვევაში, ტესტი არ გასწორდება და დირექტორობის კანდიდატი შეფასდება **0 ქულით.**
- ✓ დირექტორობის კანდიდატს **ეკრძალება** სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება, სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან (დამკვირვებელი/კოორდინატორი) ერთად, რისთვისაც დირექტორობის კანდიდატმა ხელის აწევით უნდა მიმართოს დამკვირვებელს/კოორდინატორს.
- ✓ დირექტორობის კანდიდატმა დამკვირვებელს/კოორდინატორს უნდა მიმართოს **ხელის აწევით.**
- ✓ დირექტორობის კანდიდატი უფლებამოსილია ტესტირების მიმდინარეობისას მოითხოვოს სპეციალური ფურცელი.
- ✓ დირექტორობის კანდიდატი ტესტზე მუშაობას შეუდგება დამკვირვებლის/კოორდინატორის მიერ ტესტირებაზე ქცევის წესების სრულად გაცნობისა და შესაბამისი მითითების შემდეგ.
- ✓ ტესტირებისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვისთანავე, სისტემა ავტომატურად გაითიშება და დირექტორობის კანდიდატს **აღარ ექნება შესაძლებლობა** გააგრძელოს ტესტზე მუშაობა. ასეთ შემთხვევაში, დირექტორობის კანდიდატი შეფასდება მხოლოდ განსაზღვრულ დროში შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.
- ✓ დირექტორობის კანდიდატმა მისთვის განსაზღვრული საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ დამკვირვებელს/კოორდინატორს უნდა დაუბრუნოს მისთვის გადაცემული სპეციალური ფურცელი და დატოვოს საგამოცდო ცენტრი.
- ✓ ტესტირების შედეგი გამოქვეყნდება ვებ გვერდზე https://directors.mes.gov.ge/.

გისურვებთ წარმატებას!